

# გაიდლაინები დიალიზის სტრატეგიის შესახებ

## გაიდლაინი 1. დიალიზის ხანგრძლივობა და სიხშირე

**გაიდლაინი 1.1:** ჰემოდიალიზი უნდა ტარდებოდეს მინიმუმ კვირაში სამჯერ და მისი ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს მინიმუმ 12 საათს კვირაში, გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ თირკმლის მნიშვნელოვანი ნარჩენი ფუნქციის შემთხვევაში.

**გაიდლაინი 1.2:** ჰემოდიალიზის ხანგრძლივობის და/ან სიხშირის გაზრდა რეკომენდებულია ჰემოდინამიკური ან კარდიოვასკულური არასტაბილურობის მქონე პაციენტებში.

**გაიდლაინი 1.3:** ჰემოდიალიზის ხანგრძლივობის და/ან სიხშირის გაზრდა რეკომენდებულია იმ პაციენტებში, რომლებშიც პერსისტირებს არტერიული ჰიპერტენზია მაქსიმალური შესაძლო ულტრაფილტრაციის მიუხედავად.

### **გაიდლაინი 1.4:**

ჰემოდიალიზის დროის და/ან სიხშირის გაზრდა რეკომენდებულია ცუდად კონტროლირებული ჰიპერფოსფატემიის შემთხვევაში.

### **გაიდლაინი 1.5:**

ჰემოდიალიზის ხანგრძლივობის და/ან სიხშირის გაზრდა რეკომენდებულია მალნუტრიციის შემთხვევაში.

## გაიდლაინი 2. ნაკადი და კონვექცია

**გაიდლაინი 2.1:** ჰემოდიალიზის გვიანი გართულებების საპრევენციოდ რეკომენდებულია მაღალი ნაკადის (high flux) სინთეზური მემბრანების გამოყენება. სპეციფიური ჩვენებებს მიეკუთვნება:

- დიალიზთან ასოცირებული ამილოიდოზის რისკის შემცირება
- ჰიპერფოსფატემიის კონტროლის გაუმჯობესება
- გაზრდილი კარდიოვასკულური რისკის შემცირება
- ანემიის კონტროლის გაუმჯობესება

**გაიდლაინი 2.2:** მაღალი ნაკადის მემბრანების ეფექტურობის გასაზრდელად შეიძლება ჰემოდიაფილტრაციის ან ჰემოფილტრაციის გამოყენება; უნდა მოხდეს რაც შეიძლება დიდი რაოდენობის სითხის ჩანაცვლება, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.

## გაიდლაინი 3. დიალიზის დოზის შეფასების მეთოდოლოგია

**გაიდლაინი 3.1:** დიალიზის დოზა უნდა განისაზღვროს მინიმუმ თვეში ერთხელ.

**გაიდლაინი 3.2:** დიალიზის დოზა უნდა განისაზღვროს ისეთი ვალიდური მეთოდის გამოყენებით, რომელიც შედარებადია სტანდარტულ მეთოდთან.

**გაიდლაინი 3.3: თირკმლის ნარჩენი ფუნქცია:** ჰემოდიალიზის დოზის შეფასებისას შეიძლება თირკმლის ნარჩენი ფუნქციის გათვალისწინება, მისი საკმარისად ხშირი (ჩვეულებრივ ორ თვეში ერთხელ) განსაზღვრის შემთხვევაში.

**გაიდლაინი 3.4:** კვირაში სამჯერადი ჰემოდიალიზის შემთხვევაში დიალიზის დოზა უნდა გამოიხატოს  $eKt/V$ -ს საშუალებით. სხვა შემთხვევებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ჰემოდიალიზის სიხშირე და დოზა გამოიხატოს სტანდარტული  $Kt/V$ -ს ( $stdKt/V$ ) ნივთიერების მოცილების ინდექსის (SRI) ან თირკმლის ეკვივალენტური კლირენსის (EKR) მიხედვით.

#### გაიდლაინი 4. ადეკვატური ჰემოდიალიზის მინიმალური დოზა

**გაიდლაინი 4.1:** ანურიულ პაციენტებში, რომლებსაც უტარდებათ კვირაში სამჯერადი ჰემოდიალიზი,  $eKt/V$  უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1.2-ს. ქალებში და თანმსლები დაავადებების მქონე პაციენტებში შესაძლოა უფრო მაღალი დოზის – 1.4 გამოყენება.

**გაიდლაინი 4.2:** იმ პაციენტებში, რომლებსაც აქვთ თირკმლის მნიშვნელოვანი ნარჩენი ფუნქცია ან დიალიზი უტარდებათ არასტანდარტული სიხშირით, დიალიზის კვირის დოზა უნდა შეადგენდეს  $SRI \geq 2$ .